პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 15 ნოემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

260 (958) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კაპ. სტრ.

ვინაიდან თფილისის სამაზრო-საქალაქო პარტიული კონფერენციის მუშაობა გრძელდება, 16 ნოემბერს დანიშნული სხდომა თფილისის აღმასკომის პლენუმისა გადადებულია. სხდომის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე.

პრეზიდიუმი.

## ფინანსიური კრიზისის ჩიხში.

საფრანგეთის მთავრობა დიდ საგონებელში ჩავარდნილი. მეტად ცუდად წავიდა ფრანკის (საფრანგეთის ფული) საქმე. მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს როგორმე გადაარჩინოს ის დაღუპვისაგან და შეაჩეროს ფინანსიური კრიზისი.

ამ მიზნით ის ხან ერთ საფინანსო გეგმას იმუშავებს, ხან მეორეს. მაგრამ, როცა საკითხი დგება ამ გეგმის განხორციელებაზე და მას დასამტკიცებლად უდგენენ დეპუტატთა პალატას (საფრანგეთის პარლამენტს), გეგმა უარყოფილი რჩება.

ამავე დროს კი ფრანკი უფრო და უფრო მიექანება ძირს უფსკრულისაკენ. სად არის გამოსავალი?

თუ საფრანგეთის მთავრობამ გაადიდა ქაღალდის ფრანკის ბეჭდვა, ეს კიდევ უფრო დასცემს მის კურსს. შინაურ სესხის აღების იმედი არ აქვთ საფრანგეთის მესვეურებს, ვინაიდან ეს ხერხი უკვე სცადეს მათ და უნაყოფოდ.

გადასახადებს ვერ გაადიდებენ, ვინაიდან ეს გამოიწვევდა სასტიკ წინააღმდეგობას და აღშფოთებას მშრომელთა მასებში. რჩება კიდევ ორი გამოსავალი: მსხვილი კაპიტალის დაბეგვრა და საგარეო სესხის აღება.

პირველი უკვე სცადა პენლევემ. მაგრამ იძულებული გახდა უკან დაეხია. მსხვილი ბურჟუაზია სასტიკი წინააღმდეგია ამ დაბეგვრის. მას ერთი კაპეიკის გაღებაც არ სურს ფრანკის გადასარჩენად. ამრიგად თავისი ძალებით საფრანგეთის ხელისუფლებას არ ძალუძს ფინანსიური კრიზისის გადალახვა. რამდენიც არ უნდა შეიცვალოს მინისტრების შემადგენლობა და რამდენიც არ უნდა იტეხონ მათ თავი, სულ ერთია, ყოველგვარი მათი ცდა, რომელიც მიმართული იქნება ფრანკის განმტკიცებისაკენ, ამაო იქნება.

საფრანგეთის წინაშე კვლავ სდგება საკითხი მიმართოს უცხო სახელმწიფოს დახმარებას. საგარეო სესხის მიღება საფრანგეთს შეუძლია მხოლოდ ამერიკისაგან. მაგრამ ეს უკანასკნელი მისცემს მას ისეთ პირობებში, როგორც გერმანიას. ეს კი ნიშნავს საფრანგეთის მთელი მეურნეობის ამერიკის კაპიტალის კონტროლის ქვეშ დაყენებას.

ჯერ-ჯერობით საფრანგეთის მთავრობა სცდილობს როგორმე შინაური ძალებით მოაგვაროს ფინანსიური კრიზისი. ის კიდევ განაგრძობს წყლის ნაყვას, რასაც შედეგად მოყვება მისი გადადგომა.

შესძლებს თუ არა საფრანგეთის მთავრობა კრიზისის გადალახვას და რა ფასით—ეს მომავლის საკითხია.

მაგრამ ერთი კი ცხადია: საფრანგეთის კაპიტალიზმი დასნეულდა განუკურნებელი სნეულებით, რომელიც ადრე თუ გვიან მას ბოლოს მოუღებს.

## კონტრ-რევოლუციის საბოლოო განადგურების და ბრწყინვალე გამარჯვების 5 წლის თავი.

დღეს შესრულდა ხუთი წელი მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ საბოლოო ლახვარი ჩასცა საბჭოთა ტერიტორიებზე მოქმედ შავ-კონტრრევოლიუციას და გამარჯვებით დაათავა სამოქალაქო ომი.

1920 წლის შუა ხანებში ქ. ყირიმში გენერალ ვრანგელმა კაპიტალისტური სახელმწიფოების დახმარებით შეადგინა თავისი შავი რაზმები და გაილაშქრა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

პირველ დღეებში წარმატებით მიმდინარეობდა მისი ოპერაციები. 4 თვის განმავლობაში მან დაიპყრო რამოდენიმე გუბერნია და ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში ვრანგელის მოწინავე ნაწილები იპყრობენ დონის აუზის სამხრეთ მხარეს და ცდილობენ დონის აუზის ხელში ჩაგდებას. წითელმა ნაწილებმა უკან დაიხიეს, რადგან წითელი არმიის უმთავრესი ნაწილები მიმართული იყო პოლონეთის წინააღმდეგ, რომელიც ამ დროს შემოიჭრა საბჭოთა უკრაინაში და სცდილობდა მის ხელში ჩაგდებას.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამ დროს დაისახა შემდეგი ამოცანა: „რაც შეიძლება სწრაფად მოეღოს ბოლო ვრანგელის გვარდიელების თარეშს, რომ შემდეგ მთელი ძალები გადაეყვანა პოლონეთის ფრონტზე“. კომუნისტურმა პარტიამ გამოაცხადა პარტამხანაგების მობილიზაცია ვრანგელის წინააღმდეგ გასაგზავნათ. ამავე დროს პოლონეთის ფრონტიდან მოხსნეს რამოდენიმე ნაწილები და ყველა ეს ძალები გაეშურენ ვრანგელის წინააღმდეგ. 1920 წელს 28 ოქტომბერს წითელი არმია გადამწყვეტ შეტევაზედ გადავიდა სამხრეთის ფრონტზე.

3 ნოემბრიდან ჩვენი წითელი ნაწილები თანდათან უახლოვდებოდენ ყირიმის ყელს. 7—11 ნოემბრამდე სერიოზულ შეტევების და რამოდენიმე ოპერაციების წარმატებით შესრულების შემდეგ, წითელმა რაზმებმა აიღეს ყირიმის ნახევარ კუნძული, 11 ნოემბერს წითელმა გმირებმა დაიკავეს ქ. სიმფეროპოლი და ფეოდოსია, ხოლო 15 ნოემბერს კი მცირე შეტაკების შემდეგ ქ. სევასტოპოლი.

უკუქცეული თეთრგვარდიელები, სამი დღის განმავლობაში იმყოფებოდენ წითელ ჯარის უძლიერეს ცეცხლის ქვეშ და სრულიად განადგურდენ. ვრანგელის არმიის განადგურების შემდეგ ბოლო ეღება სამოქალაქო ომს საბჭოთა ტერიტორიაზედ. ეს დღე 15 ნოემბერი ერთი საუკეთესო ფურცელთაგანია წითელი არმიის ბრძოლის ისტორიაში.

დღეს ხუთი წლის თავზე, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა ასე განმტკიცებულია, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ პერეკოპის გმირები. ვაშა მათ! საუკუნო ხსოვნა ამ განმათავისუფლებელ ბრძოლაში დაღუპულთ.

ქ. დევაძე.

# ახალი რადიო-ამბები

## სამოქალაქო ომი ჩინეთში

### პეკინის გარშემო ჯერ-ჯერობით სიწყნარეა. ჩინეთის გაზეთებს აკრძალული აქვთ დაწვრილებითი ცნობების გამოქვეყნება.

**პრეზიდენტის უკანასკნელი ცდა მშვიდობიანობის დასაცავად.**

**იაპონია ჩინეთში აგზავნის განმანადგურებლებს.**

— ჩჟან-ძო-ლინის მომხრე ჩან-სუ ჩანი მივიდა ცინანფუში და გასცა განკარგულება შეაგროვონ ქალაქში დიდძალი ფული ომის საჭიროებისათვის.

— უ-პეი-ფუს მომხრე სუნ-ჩჟან-ფანი მივიდა სიჩოუში, სადაც დაგროვილია ცენტრალურ რაიონების 50.000 ჯარისკაცი.

— ჩინეთის გაზეთებს ეკრძალებათ დაწვრილებითი ცნობების გამოქვეყნება მდგომარეობის შესახებ. გაზეთების ცნობით პეკინის გარშემო მშვიდობიანობაა. ფინ-იუი-სიანისა და მუკდენის ჯარებს შორის ჯერ შეტაკება არ მომხდარა.

— პეკინის პრეზიდენტმა დუან-ცზი-ჩჟუიმ გამოსცა ბრძანება, რომელშიაც ხაზგასმულია აღნიშნული მშვიდობიანობის დაცვის აუცილებლობა დედა-ქალაქში. ბრძანება მიმართულია ჩჟან-ძო-ლინის წინააღმდეგ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ესაა პრეზიდენტის უკანასკნელი მშვიდობიანობის დაცვის ცდა პეკინის გარშემო.

— იაპონია ამზადებს თავის განმანადგურებლებს ჩინეთში გასაგზავნათ.

## გრძელდება მოლაპარაკება ფინ-იუი-სიანსა და ჩჟან-ძო-ლინს შორის

ფინ-იუი-სიანსა და ჩჟან-ძო-ლინს შორის გრძელდება მოლაპარაკება. ხმებია, რომ ჩჟან-ძო-ლინმა თანხმობა განუცხადა დააკმაყოფილოს ფინ-იუი-სიანის ზოგიერთი მოთხოვნილება თუ რომ ის დასთანხმდება გამოაქვეყნონ შეერთებულად უ-პეი-ფუს სახელის გამტეხი დეპეშა და შეადგინონ დამსჯელი ექსპედიცია უ-პეი-ფუს წინააღმდეგ.

პასუხად ფინ-იუი-სიანმა განაცხადა, რომ ის უარყოფს ყოველგვარ შეთანხმებას, სანამ პეკინიდან არ იქნება გაყვანილი მუკდენის ჯარები.



ახალწვეული მეფის ყაზარმაში.

## საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანება.

საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანებით 13 ნოემბრიდან უკრაინის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ეგოროვი თავისუფლდება ოლქის სარდლობისაგან რევსამხსაბჭოს წევრის თანამდებობაზე დატოვებით. ინიშნებიან: სამხედრო სასწავლებლების უფროსი იაკირი—უკრაინის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად; დასავლეთ სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ტუხაჩევსკი—მუშურგლეხური წითელი არმიის შტაბის უფროსად; კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალი კორკი—დასავლეთ ოლქის ჯარების სარდლად; თურქესტანის ფრონტის ჯარების სარდალი ლევანდოვსკი—კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლად.

## სირიაში იზრდება მღელვარება

**მღელვარება პალესტინაშიც გადავიდა.**

სირიაში იზრდება მღელვარება და ის გადადის პალესტინაშიც. დრუზების დიდი რაზმი მივიდა პალესტინის საზღვარზე.

გაზ. „მორნინგ პოსტი“ ურჩევს ინგლისსა და საფრანგეთს შეთანხმებულ თანამშრომლობას აღმოსავლეთში, ვინაიდან არაბების წინააღმდეგობა საფრანგეთისადმი პირველი ნაბიჯია საერთო წინააღმდეგობისაკენ ევროპის მიმართ.



ახალწვეული წითელ ყაზარმაში

# ჩვენი მუშაობა ახლენკომკავშირელ ახალწვეულებში.

ახლენკომკავშირი წითელ ჯარის პარტიულ მუშაობაში თვალსაჩინო როლს თამაშობს. ის წარმოადგენს შემაერთებელ ჯაჭვს პარტიულ და უპარტიო მასის შორის. ჩვენი პირველი ჯარის ახლენკომკავშირის ორგანიზაცია, ამ ჟამად ღებულობს თავის რიგებში კომკავშირელ ახალგაზრდობას, რომელსაც მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები აქვს დავალებული გადასაწყვეტად. მაგრამ სანამ თვით ამ ამოცანების სისრულეში მოყვანას შეუდგებოდენ, ჩვენმა კომკავშირის შორის მომუშავე ამხანაგებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ ახლად მოსულების სწორ აღრიცხვას, მათი პოლიტ-განვითარების დონეს გამოარკვევას.

ახკომკავშირელებს, რომლებიც გუშინ გამოვიდენ საქარხნო და სასოფლო უჯრედებიდგან მიღებული აქვთ ცოდნა განვითარება სამოქალაქო კომკავშირის 1-ლ და 2-რე საფეხურის პოლიტ-სკოლებში, ასეთები რომ უკან დავაბრუნოთ, ძველის განმეორება დავაწყებინოთ ეს იქნება შეცდომა; საჭირო იქნება ახალწვეულ კომკავშირელის წახალისება საკავშირო და პარტიულ ცოდნის მისაღებათ.

ამასთანავე ერთად ისმება დღის წესრიგის პირველ რიგში სამხედრო დისციპლინის განმტკიცების საკითხი ახალწვეულ-კომკავშირელებს შორის. სამოქალაქო ორგანიზაციებში, თავის თავად ცხადია, უფრო ნაკლები დისციპლიანობაა, ვიდრე სამხედრო ერთეულებში და ამიტომ ისინი შესაძლებელია რომ უცბად ვერ შეეგუონ ჯარის დისციპლინას. წითელ ყაზარმაში შემოსვლის დღიდგან ჩვენი კომკავშირელები მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყვნენ უპარტიო მასისათვის.

ერთი გარემოებაა კიდევ აუცილებლათ გასათვალისწინებელი; კომკავშირის სამოქალაქო ორგანიზაციებში ახალწვეული კომკავშირელი ირიცხებოდა უჯრედში, ეხლა კი ჯარში ის გაერთიანებული იქნება პარტიის დამხმარე ჯგუფში; შეიძლება ამ საკითხმა გაურკვევლობა გამოიწვიოს ახალწვეულ კომკავშირელში, მაგრამ თუ მას ჩვენ კარგათ დაუხატავთ სურათს პარტიის ხელმძღვანელობისას ჯარის რიგებში კომკავშირზე, მაშინ ის სრულიად დაკმაყოფილდება.

20—30 ნოემბერს მოხდება გადახალისება ახლენკომკავშირის ჯგუფების ორგანიზაციებისა; ამ გადახალისების დროს კი საჭიროა ორგანიზატორათ არჩეულ იქმნას გამოცდილი მუშაკი—პარტიის წევრი. შეიძლება თვით ახალწვეულებისაგანაც იქმნას გამოძებნილი ასეთი.

საერთოდ ჩვენი წითელ ჯარის მუშაობაში მთავარ ყურადღება უნდა მივაქციოთ კომკავშირის მუშაობას, რისთვისაც აუცილებელი საჭიროა კეთდებოდეს საინსტრუქციო თათბირებზე კომკავშირის მუშაობის შესახებ მოხსენებები, ჯერ-ჯერობით ლეგიონის და შემდეგ თანდათანობით დივიზიის მასშტაბითაც, რაც სასურველ შედეგს მოგვცემს.

დაგო.

# სამხედრო საქმე.

### გაუფრთხილდი სახალხო ქონებას.

„მე ვღებულობ ვალდებულებას... საკუთარი თვალივით დავიცვა სახალხო და სამხედრო ქონება გაფუჭებისა და გაფლანგვისაგან“.

წითელი ფიციდან.

თვითეული წითელარმიელი ღებულობს იარაღს, მოწყობილობას, ტანსაცმელსა და ყოველგვარ კმაყოფას. ყველა ეს ქონება შეძენილია ხალხის სახსარზე. ამიტომ ყოველი ნივთის გაფუჭება და დაკარგვა მძიმე ბარგად აწვება სახალხო სალაროს. ხოლო ეს კი იმას ნიშნავს, რომ მუშებსა და გლეხებს, შენსავე ძმებს, მოუხდებათ ხელახლა შეავსონ დანაკლისი.

ამიტომ თვითეული პატიოსანი და შეგნებული წითელ არმიელი უნდა უყურებდეს და იცავდეს გაფუჭებისა და გატაცებისაგან იმ ქონებას, რომელიც მიცემულია მასზე, ან რომლითაც ის დროებით სარგებლობს.

ავიღოთ ტანსაცმელი. რომ შეინახო ის დაუზიანებლად და სუფთად, უნდა მოუარო მას. თუ რომ შეამჩნიე ტანისამოსი იხევა, აუცილებლად შეაკეთე ის დაუყონებლივ, თორემ სულ მთლად გაფუჭდება; ფოლაქი ძვრება—მაშინვე მიაკერე, თორემ დაიკარგება და გვიანღა იქნება. არ შეიძლება დ ფლეთილი, უსუფთაოდ სიარული.

განსაკუთრებით გაუფრთხილდი ფეხსაცმელს, ხშირად დაზეთე, ვინაიდან დაუზეთავი ფეხსაცმელი ჩქარა გჯება.

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ლამაზად და კარგად უნდა გეცვას. იჩქარებ და ცუდად დაიხვევ ფეხსახვევს, ფეხი მოგეწვება და გაგიჭირდება სიარული.

უნდა მოუფრთხილდე არა მარტო იმ ქონებას, რომელიც მოცემულია ან გაბარია შენ (ცხოველი, იარაღი, ტანსაცმელი და სხვა), არამედ იმასაც, რომელიც იმყოფება ყაზარმაში, საწყობში და სახალხო ქონებას წარმოადგენს. ყველა ეს ქონება დ დი ფული ღირს. მისი გაფუჭება და გაფლანგვა დიდი ბოროტებაა.

მაგრამ ყველაზე უარესია, როცა წითელარმიელს გააქვს რაიმე ნივთი, ტანსაცმელი ბაზარზე გასასყიდად. ეს უკვე დიდი ბოროტებაა, რომლის გამართლება შეუძლებელია.

მაშასადამე, გაუფრთხილებელი და დაუდევრული მოპყრობა სახალხო ქონებისადმი მძიმე ბარგად აწვება მუშებსა და გლეხებს და იზრდება ხალხის ხარჯები არმიაზე. ამიტომ პატიოსანი და შეგნებული წითელარმიელი რაც შეიძლება უფრო ფრთხილად და დაზოგვით უნდა მოეპყრას სახალხო ქონებას. ამას მოითხოვს კანონი და ყოველივე ამის ასრულება ევალება თვითეულ სამხედრო მსახურს, რომელსაც მიუღია წითელი ფიცი.

პ.

# დაიცავი სამხედრო დისციპლინა.

### უდისციპლინოდ გამარჯვება შეუძლებელია.

რა არის დისციპლინა და რა საჭიროა ის? ჩვენი წესდება ამბობს: სამხედრო დისციპლინა სრული დაცვაა წესრიგის, რომელიც შემოღებულია მუშურ-გლეხური წითელი არმიის კანონებითა და წესდებებით.

ჩვენ ვიცით, რომ დისციპლინა არსებობს ყოველ ორგანიზაციაში, საწარმოში, მეურნეობაში და ოჯახშიაც კი. უდისციპლინოდ შეუძლებელია შეთანხმებული მოქმედება. სამხედრო საქმეში დისციპლინა უფრო მნიშვნელოვანი და საჭიროა, ვიდრე სხვა რომელიმე საქმეში. გამარჯვებისთვის საჭიროა მუშაობა, რათა მიმართულ იქნას ყველას ძალღონე ერთი მიზნისაკენ. მაგალითად, გამართულია ბრძოლა, ასეული გადადის შეტევაზე. ჩვენი მეომრები კარგადაა გაწვრთნილი და მარჯვე სროლა იციან, მაგრამ რა შედეგს მივიღებთ, თუ რომ თვითეული მებრძოლი არ გაუგონებს მეთაურს და დაიწყებს მოქმედებას ისე, როგორც მას მოესურვება. ასეთი მოქმედება სუსტი და მტრისთვის უშიშარი იქნება, ვინაიდან ის ადვილად დაამარცხებს მოწინაამდეგეს. მაშასადამე, რომ შეთანხმებულად იმოქმედო, უნდა დაუჯერო და აასრულო მეთაურების, როგორც უფროსებისა და გამოცდილ ამხანაგების ბრძანება.

ავიღოთ მეორე მაგალითი—სროლა. შეიძლება ზოგიერთი ფიქრობს, რომ რასაც მეტს გაისვრის ბრძოლაში—უკეთესია. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი სროლით შორს ვერ წახვალ. ცეცხლმა რომ სერიოზული ზიანი მიაყენოს მტერს ამისთვის საჭიროა ცეცხლის ხელმძღვანელობა, საჭიროა ცეცხლის დისციპლინა. ცეცხლის გახსნა, შეწყვეტა და მიზნიდან მიზანზე გადატანა—ყოველივე ამას ჰქვია ცეცხლის გამართვა.

ცეცხლს მართავს მეთაური. მაშასადამე სროლის ცოდნა ცოტაა, უნდა იცოდე კიდევ დამორჩილება ერთგვარ წესებისადმი, რომელსაც აწესებს მეთაური. ზოგიერთი დაინახავს თუ არა მტერს, მაშინვე ატეხს სროლას. რა შედეგი მოჰყვება ამას? ჯერ ერთი, რომ ვაზნა უბრალოდ იხარჯება მაშინ, როცა მტერი შორსაა და ზიანის მიყენება არ შეიძლება. მეორედ ასეთი ცეცხლი აფხიზლებს მტერს, რომელიც უფრო და უფრო გაბედულად მიიწევს წინ, ვინაიდან მას თითქმის არავითარი ზიანი არ ადგება ასეთი ცეცხლით. მაგრამ თუ რომ ნაწილი დისციპლინიანია, თუ რომ მას ხელმძღვანელობს მეთაური, იმ შემთხვევაში ასეთი ნაწილი ახლოს მიუშვებს მტერს და შემდეგ დააყრის მას ტყვიას. ამ შემთხვევაში ვაზნები ტყვილად არ დაიკარგება.

შეიძლება კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა, საიდანაც აშკარა იქნება, რომ სამხედრო საქმეში (ომის ან მშვიდობიანობის დროს) ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლება დისციპლინის დაუცველად. თუ რომ უდისციპლინოდ წინ ვერ წავა მუშაობა მეურნეობაში, ორგანიზაციაში, ქარხანაში, სახლში და სხვაგან, მით უფრო სამხედრო საქმეში უდისციპლინოდ გამარჯვება შეუძლებელია.

პ.

# საბჭოთა კავშირის 1925-26 წლის სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვა.

10 ნოემბერს საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე რიკოვის თავმჯდომარეობით განხილულ იქნა საბჭოთა კავშირის 1925-26 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი (ხარჯთ-აღრიცხვა).

მოხსენება გააკეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა რეინგოლდმა, რომელმაც განაცხადა, რომ 1925-26 წლის შემოსავლის საერთო თანხა აღემატებოდა 1924-25 წლისას 929 მილიონ მანეთით, ე. ი. 32 პროცენტით.

წინაამდეგ მეფის დროის ბიუჯეტისა, რომლის შემოსავალი იხარჯებოდა უმთავრესად ჯარსა და პოლიციაზე, ჩვენი დამატებითი შემოსავალი—რვაასი მილიონი მანეთი მოხმარდება მეტნაწილად მოსახლეობის კულტურულ და სოციალურ საჭიროებას, სასოფლო მეურნეობას და ადგილობრივ ბიუჯეტის გაძლიერებას.

ამხ. რიკოვი საჭიროდ სთვლის სახელმწიფო საგეგმო განყოფილებამ დაწვრილებით განიხილოს და დაამუშაოს სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი, რასაც საფუძვლად უნდა დაუდვას სახელმწიფოს სახსრის დაზოგვით განაწილება.

სახალხო კომისართა საბჭომ მიანდო სახელმწიფო საგეგმო განყოფილებას დაამთავროს მთელი ბიუჯეტის განხილვა შემდეგი სხდომისთვის.

# შეისწავლე 1905 წლის რევოლიუცია.

## რევოლიუციის დასაწყისი.

(სისხლიანი კვირა— 9 იანვარი)

9 იანვარი (ძველებურად 22) სამართლიანად ითვლება პირველ მუშურ-გლეხურ რევოლიუციის დასაწყისად. რა მოხდა ამ დღეს? პეტერბურგის მუშები ცოლებითა და ბავშვებით, მღვდელ გაპონის მეთაურობით, ბაირაღებით, ხატებით და მეფის სურათებით გაემართენ საზამთრო (მეფის) სასახლისკენ, რათა მიეცათ მეფისათვის თხოვნა მათი ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ. გზაში მათ წინ გადაუდგა ჯარები, რომლებმაც წინასწარ გაუფრთხილებლად აუტეხეს მრავალათასიან ხალხს სროლა და ხმლებით ჩეხა.

რატომ წავიდა მუშები თხოვნითა და საჩივრებით მეპატრონეების შევიწროების წინაამდეგ? იმიტომ, რომ მათ კიდევ ჰქონდათ რწმენა მეფის სამართლიანობაში, სწამდათ, რომ მეფე დაიცავდა მათ მეპატრონეებისა და პოლიციის ჩაგვრისაგან. ეს რწმენა მათ ჩაუნერგა, ეკლესიებში მღვდლებმა, მათ რიცხვში გაპონმაც, რომელსაც თავისი ქადაგებით სურდა დაეცვა მუშები „ურწმუნო-რევოლიუციონერ“-სოციალდემოკრატებისაგან.

იანვრის პირველ რიცხვებში პეტერბურგის (დღეს ლენინგრადია) ერთ დიდ ქარხანაში (პუტილოვის) იფეთქა გაფიცვებმა.

მუშები მოითხოვდენ ქარხნიდან უსამართლოდ დათხოვნილ მუშების უკანვე დაბრუნებას. პუტილოვის მუშების გაფიცვებს შეუერთდა სხვა ქარხნების მუშებიც და მალე გაფიცვები საყოველთაოდ გადაიქცა. მღვდელმა გაპონმა, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა მაშინ მუშებში, ურჩია მუშებს მიემართათ მეფისთვის. მუშებმა დაუჯერეს და მწარედ მოსტყუვდენ: მეფე ხიშტებითა და ტყვიებით გაუმასპინძლდა მათ. მეფემ მუშების ასეთი მიმართვა ამბოხებად ჩასთვალა და განიზრახა ერთხელ და სამუდამოდ ჩაეკლა მუშებში ამბოხების სურვილი. მაშინდელ გაზეთების ცნობით აღნიშნულ დღეს მოკლულ-დაჭრილთა რიცხვი უდრიდა 4.600.

როგორ შეხვდა მუშები ამ დახვრეტას? პირველად ისინი დაიბნენ, არ სჯეროდათ, რომ მათ ესროდენ. ხოლო შემდეგ ჯალათებზე გაბოროტებული და წყევა-კრულვით მეფისადმი ზოგი გაიქცა და ზოგი იგერიებდა მეფის ჯალათებს ქვებით,—სხვა იარაღი მათ არ ებადათ.

მხოლოდ ვასილიევის კუნძულზე სოციალდემოკრატ-ბოლშევიკების მეთაურობით მუშებმა ააგეს ბარიკადები, როგორღაც შეიარაღდენ და გაუმართეს ბრძოლა ჯარებს. მაგრამ ძალები უთანასწორო იყო, ბარიკადები აიღეს ჯარებმა და მუშები დამარცხდენ.

მეორე და მესამე დღესაც გრძელდებოდა მუშების შეტაკება ჯარებსა და პოლიციასთან. პეტერბურგი დაემსგავსა მტრის მიერ აღებულ ქალაქს. თვით გაპონი გადარჩა და მეორე დღეს გამოუშვა მუშებისადმი მოწოდება, რომელშიაც ამბობდა: „მხეცმა მეფემ, მისმა მოხელეებმა, ხაზინის მფანგველებმა და ხალხის მყვლეფელებმა შეგნებულად განიზრახეს და კიდეც გახდენ ჩვენი უიარაღო ძმების, ქალებისა და ბავშების მკვლელები.

მეფის ჯარისკაცების ტყვიებმა, რომლებმაც დაჰხოცა მუშები, ჩაკლა ჩვენს გულშიაც მეფისადმი რწმენა.

გადაუხადეთ ძმებო, სამაგიერო ხალხის მიერ დაწყევლილ მეფესა და მის გველურ მოდგმას, მინისტრებსა და უბედურ რუსეთის ყველა მძარცველებს! სიკვდილი ჯალათებს!“.

ასე ფიქრობდა მაშინ მთელი პეტერბურგის მუშათა კლასი. მართლაც, 9 იანვარს ჩაკლულ იქნა მეფისადმი რწმენა თვით ჩამორჩენილ მუშებშიაც კი.

ამ დღიდან არაფერს არ შეეძლო მუშების ჩამოშორება რევოლიუციონურ ბრძოლისაგან თვითმპყრობლობის წინაამდეგ.

სოციალ-დემოკრატიული პარტია გახდა მისი ხელმძღვანელი ამ ბრძოლაში.

9 იანვარის სისხლის ღვრამ პეტერბურგის ქუჩებში გამოაღვიძა რევოლიუციისაკენ და თვალები აუხილა არა მარტო პეტერბურგის მუშებს, არამედ აამოძრავა მთელი მუშური რუსეთი.

აი რატომაა, რომ ეს დღე უფლების ძალით იწოდება რუსეთის მუშურ-გლეხური რევოლიუციის პირველ დღეთ.

ი. ფ.

# პირველი დღეები წითელ ყაზარმაში

## ორი დღე ყაზარმაში.

ახალწვეულის შთაბეჭდილებანი.

5 ნოემბრის მაგიერ ზოგიერთები გამოვცხადდით 9 ნოემბერს.

ბრძანების თანახმად პასუხის გებაში უნდა ვყოფილიყავით მიცემული, როგორც დეზერტირები. ზოგიერთს თუმცა საბუთები გვქონდა, ზოგსაც კი არა, მაგრამ ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა როდესაც სასჯელის მაგიერ ლმობიერად მოგვექცენ როგორც ახლებს. სამსამხკომმა კი გვითხრა კენჭის ამოღების უფლება დაკარგეთ დაგვიანებით მაგრამ ჩვენ ეს არ გვაინტერესებდა, რადგან ჩვენთვის სულ ერთი იყო ჩვენ სადაც მოვდიოდით ვიცოდით,—ჩვენ მშრომელი გლეხის შვილები ვართ, მოვდივართ მისი ინტერესების დასაცავად. ასეთი იყო ჩვენი პასუხი.

გაწერის შემდეგ უცდიდით თუ ვინ და როდის წაგვიყვანდა ნაწილში.

აქვე მოვიდა ერთი ამხანაგი ჩვენთან და შეგვეკითხა, თუ სად ვიყავით გაწერილი.

ის სამხედრო ფორმაში იყო გამოწყობილი. ჩვენც უთხარით და თანაც გვაინტერესებდა და თუ ვინ იყო ეს ამხანაგი.

კითხვის შემდეგ გამოდგა მწყობრის თავი.

რა არის მწყობრის თავი? არც ვიცით, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ უფროსია. განცვიფრებაში მოვდივართ ასე ტკბილად, რომ გვესაუბრება. ჩვენს შეკითხვებზე ამა თუ იმ საგანის შესახებ გულთბილად და მზრუნველობით იძლეოდა პასუხს.

აგერ ჩვენს გვარებსაც იძახიან. თურმე ნაწილში მივყევართ. გავიცანით ჩვენი წამყვანი, ვეკითხებით, შორს არის თუ არა სადაც ჩვენ მივდივართ? პასუხად მივიღეთ—ძნელაძის ქუჩაზე. მაშინ ვთხოვეთ და დავითანხმეთ კიდევაც რომ ტრამვაით წავსულიყავით. ამხ. ფულიც დაგვირიგა ხუთ-ხუთი შაური. თურმე დღიურია. როდესაც ყაზარმის ეზოში შევედით დიდი ამბით შეგვხვდენ ჩვენ მოლოდინში მყოფი ამხანაგები და ერთად გაგვაგზავნეს აბანოში.

იქვე, დაგვირიგეს ტანისამოსი.

აბანოდან გამოსვლისთანავე გავხდით სამხედრო პირები, მაგრამ გაკვირებული ვრჩებოდით, და სიცილს ვერ ვიკავებდით ტანისამოსის ჩაცმის შემდეგ ვეღარ ვცნობდით ერთმანეთს. ყაზარმაში დაბრუნებისას ყველას დაგვირიგეს საბნები თავისი მოწყობილებით. აგერ „ქაშიკო“ მოუტანიათ კიდევაც ესე მოულოდნელად.

სადაც ვიმყოფებით ეს კარანტინია, მაგრამ ვინ იცის რა არის კარანტინი? ალბად ის თუა რომ ჯერ სხვას არ გვაკარებენ?

მეორე დღეს დილას შემოდის ზემდეგი, რომელმაც გვითხრა—თქვენთან ექიმი მოვა და ყველას გაგსინჯავთ, ექიმი რათ გვინდა ჩვენ ისედაც ჯანმრთელები ვართ—გაისმა აქეთ იქედან ამხანაგის ხმა.

ექიმმა მაინც შეგვიშხაპუნა ნემსები.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემოვიდა და გაგვიმართა მოკლე საუბარი კარანტინის მნიშვნელობაზე.

გვინახულეს რუს-წითელ არმიელებმა თავის „გარმონით“ ჩვენ ძველები გვეგონა. აღმოჩნდა რომ ისინიც ახლად მოსულები იყვნენ. შევეკითხეთ თუ საიდან იყვნენ, ვისაუბრეთ, გავიგეთ ერთმანეთის ვინაობა უფროსები ხშირად შემოდიან ჩვენთან და გვესაუბრებიან. არც კი გვგონია თუ სამხედრო სამსახურში ვართ. ყველა სტუმრებივით გვიღებენ თანაგრძნობით გვესაუბრებიან.

გვინახულა სამხედრო კომისარმაც, მოგვესალმა ყველას, მანაც დაგვიწყო საუბარი ლიტერატურაზე.

მოგვიწოდა ლიტერატურული გასამართლების მოწყობისაკენ.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ აქვს. ყველას ძლიერ გვეჩქარება კარანტინიდან განთავისუფლება და საერთო მუშაობაში ჩაბმა. წითელმა ყაზარმამ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა,

ახალწვეული ა. ქ.

## მუშაობა ახალწვეულებში.

მეთაურთა სკოლა.

ახალწვეულებში უკვე გახაღდა მუშაობა და ნაყოფიერადაც, რადგან მათ კულტურულ და პოლიტიკურ მუსაობისა მი ინტერესი თვალსაჩინოდ ეტყობათ. მკვირცხლად, დაუზარებლად ასრულებენ ყველაფერს. უმწყობრო და ამწყობრო გუნდის პოლიტ-ხელები ატარებენ მათთან პოლიტ-საუბრებს.

13 ნოემბერს შეიკრიბა ახალწვეულებში მუშაობის ჩამტარებელი კომისია, რომელმაც საჭიროდ სცნო შემდეგი საკითხების დაკვრითი სახით ჩატარება.

1) სამხედრო ბეგარის დეკრეტის განხილვა, 2) წითელი არმიის როლი და დანიშნულება, 3) წითელ არმიელთა უფლება—მოვალეობანი და 4) სამხედრო სკოლა და მისი ამოცანები.

ამ საკითხებზე საუბრებს პოლიტ-ხელები ჩაატარებენ.

ჰიგიენაზე და სხვა და სხვა სანიტარულ საკითხებზე 3 საუბარის ჩატარება დაევალა სკოლის ექიმს ამხ. ლაბაძეს.

საუბარი კომ-კავშირის შესახებ და მისი ორგანიზაცია დაევალა ამხ. ბერიძეს.

ყოველივე ზემო აღნიშნულის გარდა ბიბგამგეს ამხ. ლალიაშვილს დაევალა მოძრავი ბიბლიოთეკის სასწრაფოდ მოწყობა.

აგრეთვე პოლიტ-ხელებს კედლის გაზეთზე საუბარი და გაზეთის გამოცემა, რომელშიაც თვით ახალწვეულები მიიღებენ მონაწილეობას.

აღნიშნულ მუშაობის ჩატარებასთან ერთად უნდა მოეწყოს კითხვა-პასუხის საღამო და შუქის გაზეთი, „თვითმოქმედი საღამო“ ახალწვეულთა ძალებით.

ყოველივე ეს უნდა მოთავდეს ორი კვირის განმავლობაში.

იმედია ამხ. ახალწვეულები ენერგიულად მოეკიდებიან მუშაობას.

სამხკორი ჩვენი.

## მოვიდნენ ახალწვეულები.

მე-3 ლეგიონი.

7 ნოემბერს მე-3 ლეგიონს ეწვია ახალ წვიულების მთელი წყება. მათი სიმღერა, ცეკვა და თამაში ამტკიცებენ თუ როგორ უხარიათ ამხანაგებს ყაზარმაში მოსვლა.

ახალ წვეულებს შემოეხვივნენ ძველი წითელ არმიელები და ათასგვარ კითხვებით არ უსვენებდნენ.

— მე,—დაიწყო ახალ წვეულმა,—კენჭის ამოღებაზე უარი განვაცხადე—მეშინოდა, ვაი თუ არ მომიწიოს წამოსვლამეთქი. აქ წამოსვლისას გვილოცავდნენ, სკოლაში მიდიხართო.

— ეხლა ამხანაგო, სამოთხეა წითელ ყაზარმაში—დაიწყო მეორემ—წინეთ თურმე, როგორც მოგვითხრობდენ ძველი ყოფილი ჯარის კაცები. ოფიცერის ხელში იყო ჯარის კაცის ბედი. ცემა-ტყეპას საზღვარი არ ჰქონდა. რომ ებრძანებია უფროსს სისულელე რამე, მაგალითად კედეზე გადავარდიო, უნდა გადავარდნილიყო. მას პასუხს არავინ მოსთხოვდა. ასევე იყო მენშევიკების დროსაც, სადაც მშიერი კვდებოდენ ჯარის კაცები.

კიდევ დიდხანს ვსაუბრობდით ათას რამეებზე. მასპინძლებიც მხიარულად დავხვდით მხიარულ სტუმრებს.

როგორც სჩანს, წითელი არმიისადმი სიმპატია და მისი პრესტიჟი მეტად აწეულა გლეხებში, რომლებიც სიხარულით აცილებენ თავის შვილებს ჯარში. უშუალო წვლილი ამ საქმეში სოფლად მისულმა წითელარმიელებმა შეიტანეს. უნდა გვახსოვდეს ძველ წითელ არმიელებს, რომ ჩვენი მოქმედება სამაგალითოა ახალწვეულებისათვის. კიდევ უფრო გაუძლიეროთ ჩვენი მოქმედებით ახლად მოსულებს წითელ ჯარზე სოფლად მიღებული შთაბეჭდილება.

წითელი არმიელი შუტუ.

## ბიბლიოთეკას ძლიერ ეტანებიან.

მე-5-თე ტერ-ლეგიონის ბიბლიოთეკა.

წაგვივიდნენ ძველი მკითხველები, გრძელვადიან შვებულებაში წასული წ. არმიელები. მათ მაგივრათ მრავალი ახალწვეულები შამოემატენ ბიბლიოთეკის დარჩენილ მკითხველთა რიცხვს ბიბლიოთეკა დილის 6 საათიდან გაღებულია საღამოს 9 და 10 საათამდე და მთელი დღის განმავლობაში 100 კაცზე მეტი სარგებლობს ჟურნალ-გაზეთებით.

წიგნების გაცემა ახალწვეულებზე ჯერ-არ დაგვიწყია, ვინაიდან ჯერ ტანსაცმელი არ აქვთ მიღებულ და ყველას ვერ ვცნობთ. მოთხოვნილება ძალიან დიდია წიგნებზე. მალე მიიღებენ ტანსაცმელს და მათზედაც დავიწყებთ წიგნების გაცემას.

ბიბლიოთეკაში არ გვაქვს კატალოგი რაზედაც მიგვითითებდა სამხკორი ვართანოვი გაზეთ წითელ-არმიელში. სამაგიეროთ მრავალი წიგნები გვაქვს გამოფენილი ფარებზე.

სამხკორი ოგანოვი.

## ჩვენი ახალწვეულები.

მე 3 ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონი კვლავ ახმაურდა. დაცარიელებული ყაზარმები ჩქარა შეივსება კარანტინიდან გამოყვანილი ახალწვეულებით. მთელი ლეგიონის ყურადღება ამ ჟამად მიქცეული აქვს მათი შესაფერისად მოთავსების საქმეს. კარანტინი მორთულია ლოზუნგებით და პლაკატებით. სწარმოებს მათ შორის საუბრები სხვა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო. ახალწვიულების ცნობის მოყვარეობა უმაღლეს წერტილამდე აღწევს. ძველ წითელ არმიელებს წამდაუწუმ ეკითხებიან და სთხოვენ ახსნა-განმარტებას სხვა და სხვა საკითხების შესახებ. მეთაურების რჩევა-დარიგებებს პირნათლად ასრულებენ კარანტინშიდაც კი.

იმედი გვაქვს ასეთი ცნობის მოყვარე ამხანაგები ყაზარმაში მოსვლისა და არმიელთა რიგებში ჩადგომის შემდეგ პირნათლად და ენერგიულად შეასრულებენ იმ დიდ დავალებებს, რომლებიც წინ უძევს წითელ არმიის თითეულ მხედარს.

გაუმარჯოს მათ მომავალ მუშაობას.

სამხკორი ნიკა.

## ახალწვეულებთან კარანტინში მუშაობა.

მე 4 ლეგიონი.

ახალწვეულებისათვის ლეგიონმა გამოძებნა შესაფერი შენობა და გამოყო მათ შორის სამუშაოდ სპეციალური კომისია.

კომისიამ კარანტინი მორთო შესაფერისი ლოზუნგებით და პლაკატებით. ახალ-წვიულთა შორის ტარდება სპეციალური საუბრები. კლუბის გამგეობის მიერ მოეწყო ერთი პოლიტ-ლატარეია, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ახალწვეულებზე.

ოქტომბრის რევოლიუციის თავზე ჩატარებული იქნა მოხსენება ამხ. ფრუნზეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ბიბლიოთეკა სისტემატიურათ აწვდის გაზეთებს და ატარებს მათ შორის ხმამაღალ კითხვას. სულიერი მდგომარეობა ახალწვეულების საუცხოვოა, უკმაყოფილებას არა აქვს ადგილი.

კარანტინში წესრიგის დარღვევის არც ერთი მაგალითი არ ყოფილ.

ყველა გამოწვეული დარწმუნებულია წითელ ყაზარმის სიდიადეში, რომ ყაზარმა არის მათი აღმზრდელი სკოლა.

უფ-პოლიტ შემადგენლობა ემზადება მათ მისაღებათ; ხდება ასეულის შენობების გადახალისება. მზადდება პოლიტ-მეცადინეობისათვის სათანადო მასალები.

წითელი ყაზარმა მოლოდინშია, მის გაცარიელებულ რიგებს კვლავ ავსებს მშრომელთა შვილები.

სამხკორი სან-მანი.

## პოლიტსაათები ძლიერ გვიზიდავს.

3-ე ლეგ. სამნეო ასეული.

ჩვენს ასეულში სისტემატიურად ტარდება პოლიტსაათები. პოლიტხელი გასაგები ენით და დიდი ყურადღებით ატარებს საუბრებს და იწვევს მსმენელ არმიელებს შეკითხვებში.

ასეულში მოწყობილი გვაქვს ლენინის კუთხე, რომელიც ჩვენი თავშესაყარი და საუბრების ჩასატარებელი ადგილია. ლენინის კუთხე ყველა არმიელებს ძლიერ იზიდავს. თავისუფალ საათებში ყველა იქეთკენ გარბიან და კითხულობენ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს და სხვა. ამ მხრივ ჩვენი ასეული სრულიად არ ჩამოუვარდება სხვა ასეულებს.

წ. არმ. ჯორბენაძე.

## მესამე ლეგიონის საქმიანობიდან.

სამნეო მუშაობა.

(გაგრძელება)

ლეგიონის სამნეო მუშაობა, სათანადო სიმაღლეზე სდგას, რადგანადაც შესაძლებელია მიღებისთანავე თანაბრად ნაწილდება ესა თუ ის საგნები ასეულებზე. ახალი ტანისამოსი უკვე მიიღო ლეგიონმა, რომელიც, მოკლე ხანში დარიგდება.

საცვლები ყოველთვის და თავის დროზე სუფთა ურიგდება არმიელებს.

კვების საკითხი კარგათაა დაყენებული. ყველა ათასეულებს აქვთ საკუთარი სამზარეულო. სადილი სუფთად და ნოყიერი მზადდება. წითელ არმიელები ძლიერ კმაყოფილი არიან კვებით.

**სანიტ. მუშაობა.**

სანიტ ნაწილის მუშაობა ლეგიონში დამაკმაყოფილებელია. ნაწილის მიერ ყურადღება ექცევა სისუფთავის დაცვას. ხშირად ასეულების მაშტაბით ტარდება სანიტარიული ხასიათის საუბრები.

**წრეების მუშაობა.**

ლეგიონში არსებობს პოლიტიკური, სამხედრო, დრამატიული, ლიტერატურული, სპორტიული, საერთო განვითარების და ქალთა წრეები.

მათი მუშაობა აქამდე სასურველად მიმდინარეობს. მათთვის ლეგიონს აქვს განსაკუთრებული ბინები.

**სამხკორთა წრე** ჩვენს ლეგიონში ამ ბოლო ხანებში ცოტა შესუსტდა.

ამის მიზეზი იყო ის რომ ლეგიონიდან ბევრი სამხკორები იქნენ გაშვებული გრძელვადიან შვებულებაში, რის გამოთ მუშაობა ცოტა შეისუსტებდა. ახლა უკვე ჩვენთან არსებობს. არსებობს აგრეთვე სამხკორთა სემინარი, სადაც სისტემატიურად სწარმოებს მეცადინეობა. ნაკლი მალე იქნება შევსებული.

ახალწვეულების სამხკორთა წრეში ჩასათრევად ყოველგვარი ზომებია მიღებული.

**საშეფო საქმე.**

ჩვენს ლეგიონს შეფობის ქვეშ აყვანილი ყავს სოფ. წყალტუბო და სოფელ ბეკაში. ლეგიონის უფპოლიტშემადგენლობამ ამ სოფლების დახმარების მიზნით გაიღო ათათი შაური. შეგროვილი თანხებით შევიძინეთ სამოსწავლო ნივთები და გადაუგზავნეთ მათ. ამ სოფლებში ლეგიონს გახსნილი აქვს ქოხსამკითხველოები. საკავშირო კომისია ენერგიულად მუშაობს საშეფო საქმეებზე.

**დისციპლინა.**

დისციპლინა ლეგიონში საუცხოვოა. უფშემადგენლობაში წესრიგის დარღვევას ადგილი არ აქვს.

დისციპლინის გასამტკიცებლად მოწვეული იქნა ორჯერ კრება, სადაც აღინიშნა დეფექტები. სასტიკი ზომებია მიღებული სიმთვრალის წინააღმდეგ. მომავლისათვის ჩვენი ლეგიონი უფრო განამტკიცებს თავის მუშაობას ყველა დარგებში.

ა. ჭკადუა.

# პარტიული ცხოვრება

**სამაზრო პარტ-კონფერენცია 4-ხე ლეგიონის შესახებ.**

11 ნოემბერს დამთავრდა გორის მაზრის პარტ-კონფერენცია, სხვა საკითხთა შორის დასმული იყო საკითხი მაზრაში მდგომ წ. არმიის ნაწილების შესახებ გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია, რომელიც ამბობს.

აქამდე წითელ არმიასთან მუშაობას ქონდა ნორმალური ხასიათი, მომავალში კონფერენცია მიუთითებს კომიტეტს ორგანიულად დაუკავშირდეს წ. არმიას, რომელიც უნდა გამოიხატებოდეს არმიის წარმომადგენლების ჩათრევაში პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში, ღებულობს რა მხედველობაში, როგორც მაზრის ცენტრში, ისე პერიფერიებში გეგმიან მუშაობაზე გადასვლას, მუშაობის გეგმის გამომუშავების დროს შექმნილ იქნეს სამხედრო-პოლიტიკური ელემენტები და პირიქით.

კერძოთ კონფერენცია საჭიროდ სცნობს მე-4 ლეგიონს დაეხმაროს სამხედრო კუთხეების ჩამოყალიბებაში ყველა თემებში, რომელიც გააძლიერებს კავშირს ნაწილთან როგორც ცვალებად წით. არმიელებთან ისე მოსახლეობასთან.

ასეთი ნაბიჯი პარტ-ორგანოს მიერ ჩვენს მიმართ მოგვცემს საშვალებას ასი პროც. გავატაროთ ცხოვრებაში ტერ-სისტემა და მივაღწიოთ ჩვენი მოსახლეობის გასამხედროებას.

სამხკორი ხან-მანი.

## ახკომკავშირელთა შორის-

**მე-3 ლეგიონი.**

ლეგიონში ამ ჟამად არსებობს 8 ახკომკავშირის ჯგუფები. გვაქვს კავშირი სამოქალაქო დაწესებულებების ახკომკავშირის უჯრედებთან. სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად ლეგიონის ახკომკავშირის ჯგუფებს განზრახული აქვს შეფობის აღება სოფლებზე და თავისი მუშაობის მუშებსა და გლეხებში გაფართოება. ამ უკანასკნელად (4 ნოემბერს) მოწვეული იქნა ლეგიონის ყველა ჯგუფების გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრენ დაკავშირებულ სამოქალაქო უჯრედების წარმომადგენლები და შრომის სკოლის პიონერები.

კრებას დაესწრენ აგრეთვე ლეგიონის უპარტიო წითელ არმიელთა ფართო მასა.

კრებაზე ვრცლად იქნა გაშუქებული დღესასწაულის მნიშვნელობა.

უჯრედების ორგანიზატორები ენერგიულად მუშაობენ. პარტიული უჯრედები კარგ ხელმძღვანელობას გვიწევენ, რაც იმედია მომავალში უფრო გაძლიერდება.

ახკორი დ. კ—ა.

## ამბები სოფლებიდან.

**ახალციხის აღმასკომმა**

დაავალა ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებას შეაკეთოს საზამთროთ სოფ. ანყურში საექიმო პუნქტი. სკოლა და მილიციის სადგომი.

**გლეხების შუამდგომლობა.**

სენაკის აღმასკომმა დააკმაყოფილა სოფ. ნაგვაზაოს გლეხების შუამდგომლობა სოფლის კანცელარიის ზედა-ნაგვაზაოში გადატანის შესახებ.

**ახალქალაქის აღმასკომმა.**

დაავალა მაზრის სამხედრო კომისარიატს შეადგინოს იმ წითელ-არმიელთა ოჯახების სია რომელთაც უნდა მიეცეს შეღავათი სას.-სამ. გადასახადში.

**გზების აღსადგენათ**

გორის აღმასკომმა დაადგინა შეიმუშაოს მაზრის ყველა მნიშვნელოვანი გზების აღდგენის გეგმა.

**სას.-სამ. სკოლა.**

ახალციხის აღმასკომმა დაადგინა იშუამდგომლოს ახალციხეში სას.-სამეურნეო სკოლის გახსნის შესახებ.

## ახალი ამბები.

— ტფილისის მოსახლეობის გასამხედროების მიზნით ტფ. სამხ. სამეცნიერო საზოგადოებასთან დაარსდა მოქალაქეთა გასამხედროების საბჭო.

— მეორე ქართ. დივიზიის სამხ.-სამეცნიერო საზოგადოებამ დანიშნა წევრთა ხელახალი აღრიცხვა, რომელიც იწარმოებს 17 ნოემბრამდე.

— ტრაქტორების მუშაობა. მიწათ.-მოქ. კომისარიატმა გადაწყვიტა შეუდგეს ტრაქტორების მუშაობის გამოკვლევას რესპუბლიკაში.

— სასოფლო — სამეურნეო მრეწველობის ასაღორძინებლათ სას. სამ. ბანკი წელს გასცემს 945 მანეთ მიზნაბრივ სესხს.

— ცეცხლის მქრობელი რაზმები. შინაგან საქ. სახალხო კომისარიატის ცნობით ცეცხლის მქრობელი რაზმები დღემდე დაარსებულია საქართველოს 12 მაზრაში.

— თურქმენისტანის უზრ. ყოფის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა საქ. უზრ. სახალხო კომისარიატს მუდმივი ურთიერთობის აღდგენის შესახებ მიწერ-მოწერის საშუალებით.

— სრულიად საქართველოს ინვალიდთა შენაერთში ამ ჟამად ჩაწერილია წევრად 72 ინვალიდთა არტელი, ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქების გარდა.

— ნახიჩევანის მარილი. ნახიჩევანიდან მიმდინარე წელს გამოტანილ იქნება 1.800.000 ფუთი მარილი.

— მუშათა სახლისათვის, რომელიც შენდება ნაძალადევში საზოგადოება „სამშენმა“ სატყეო ტრესტს შეუკვეთა დიდძალი სატყეო მასალა.

— სკოლა — საავათმყოფო ჯანსახკომმა შუამდგომლობა აღძრა განათლებას კომისარიატის წინაშე ერთ-ერთი შრ. სკოლის დათმობის შესახებ იქ სკოლა-საავეთმყოფოს მოსაწყობათ ნაკლიან და მიზეზიან ბავშვებისათვის.

## შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ მოწინავის, პირველ სვეტის მე-19 სტრიქონში, შეცთომით არის ნახმარი სიტყვა „მებრძოლი“ ნაცვლად „მომზადებულისა“.

## მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის.

ტფილისის აღმასკომის საბიუჯეტო კომისიამ დაასრულა ხარჯთაღრიცხვის განხილვა მომავალ საანგარიშო წლისათვის. ხარჯთაღრიცხვის სავალო ნაწილი გათვალისწინებულია 1.379.886 მანეთის რაოდენობით.

ქალაქის ფარგლებში განზრახულია დაიხარჯოს 1.154.825 მანეთი ამბულატორიების, საავადმყოფოების და ქლექის დისპანსერების შესანახათ.

მაზრის ფარგლებში დაიხარჯება 225.061 მანეთი. აქედან 5 საავათმყოფოს შესანახად 109.774 მანეთი; მანგლისის საბავშო სანატორიუმისათვის 24.150 მანეთი და ცენტრალური აპარატის შესანახად 93.382 მანეთი.

## პასუხი შეკითხვებზე.

**წ. ა. ზალიკოს.** ორი თვის ავადმყოფობის შემდეგ წ. არმიელი ირიცხება ლეგიონის სიიდან. (ბრძანება № 821.)

**ჭილისხეველს.** ზედმეტ მსახურ ზემდეგს შეუძლია იცხოვროს კერძო ბინაზე.

**მეთაურ ჯ.-ს.** ოთახისათვის მიმართეთ ქალ. კომენდანტს.

**პაპიაშვილს.** ვინაიდან თქვენ დაკიმტკიცებიათ კვლევაძიების საშუალებით მაზარას დაკარგვა და თქვენთვის მოუციათ სხვა, ამიტომ უვადო შვებულებაში წასვლის დროს მოგეცემათ მაზარა.

**ცაგარეიშვილს.** ვინაიდან თქვენ ავადმყოფობის გამო არ მიგიღიათ ერთი თვის ჯამაგირი, ამიტომ ის გერგებათ და მიმართეთ სამნეო ნაწილის უფროს.

**აზიკუროვს.** ბიბლიოთეკიდან წიგნის ყიდვა არ შეიძლება. შეგიძლიათ წიგნები შეიძინოთ წიგნის მაღაზიაში.

**ა—ვს.** სასამართლოს განაჩენი სისრულეში უნდა მოიყვანოს სასამართლოს აღმასრულებელმა. ამიტომ უნდა მიმართოთ მას.

**დონაძეს.** თუ წყალდიდობამ მოგაყენათ ზარალი, დახმარებისათვის უნდა მიმართოთ აღმასკომს.

**გაგუას.** წ. არმიელებს საოჯახო ულუფა არ ეძლევა.

**ქობულაშვილს.** ერთი წლის სამსახურის შემდეგ წ. არმ შეუძლია ათი დღით წავიდეს შვებულებაში ოჯახური მდგომარეობის გამო.

**იმერლიშვილს.** ზედმეტ მსახურათ დარჩენილ უმცროს მეთაურს ეძლევა საოჯახო ულუფა.

**ზ. ჩხიკვიშვილს.** მასწავლებლები იხდიან სამხედრო ბეგარას.

**მუქერიას.** ვინაიდან თქვენ გყოლიათ ძმები, ამიტომ კადრიდან არ გადაირიცხებით ტერნაწილში.

**ი—შვილს.** თქვენი უფროსის საშუალებით მიმართეთ პარტსკოლას.

**გელაშვილს.** ერთი წლის სამსახურის შემდეგ ზედმეტ მსახურათ დარჩენილ უმცროს მეთაურს შეუძლია სამსახურიდან გასვლა.

**კ. კობიძეს.** თქვენ როგორც საშუალო განათლებით და ჩაგიბარებიათ გამოცდები ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე და ეხლა მიდიხართ უვადო შვებულებაში, მაზარა და ტანსაცმელი გეკუთვნით მეორე ვადის.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**რად გვემარჯვება მარჯვენა ხელით მუშაობა?**

მეტად საინტერესო საკითხია, თუ რატომ უფრო ემარჯვება ადამიანს მარჯვენა ხელით მუშაობა და არა მარცხენათი. ერთ ერთ გერმანულ სამედიცინო (საექიმო) ჟურნალში მოთავსებულია ექიმ რადულკის წერილი, რომელშიდაც შემდეგნაირად არის განმარტებული ეს საკითხი: არის ერთნაირი ავადმყოფობა—გულის ავადმყოფობა, რომელიც ხელს უშლის, მარცხენა ხელით მუშაობას. ამ შემთხვევაში მარცხენ ხელით მუშაობა იწვევს გულის დამბლას. თავისი დაკვირვებებით ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნერვიული აპარატები, რომლებიც აწესრიგებენ გულის მოქმედებას, უფრო მჭიდრო დამოკიდებულებაში არიან იმ ნერვიულ აპარატებთან, რომლებიც ღებულობენ მონაწილეობას მარცხენა ხელის მოძრაობაში, ვინემ იმ აპარატებთან, რომლებიც უკავშირდებიან მარჯვენა ხელს. ამნაირად მარჯვენა ხელის კუნთების უფრო განვითარება ნორმალურ ადამიანში მეტად სასარგებლო ნიშანდობლიობა, რომელიც გამომუშავებულია მასში ბუნებრივი შერჩევის ზეგავლენით არსებობისათვის ბრძოლაში.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხანაგო რედაქტორო, გაზეთ „წითელ-არმიელის“ №256 ში მოთავსებული იყო უსახელო წერილი ტფილისის სამხ. ჰოსპიტლის შესახებ სადაც ნათქვამია თითქოს საავადმყოფოში არ მოდიოდეს ქართ. ჟურნალ-გაზეთები და არ სწარმოებდეს პოლიტსაათები.

სჩანს წერილის ავტორი ნაკლებად არის გაცნობილი საავადმყოფოს პირობებს. ჯერ ერთი, ჟურნალ—გაზეთებისა და პოლიტ-მეცადინეობის შესახებ პასუხის მგებელია არა სამხ. ჰოსპიტალი, არამედ დივლაზარეთის პოლიტ-ნაწილი. რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთების შესახებ ავტორის ცნობას, ამ თვეში ამ მხრივ მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე წარსულში: ამ თვეში დივ. ლაზარეთი ღებულობს შემდეგ გაზეთებს: 30 თი „წ.-არმიელს“ უსასყიდლოთ, გაზეთ „კომუნისტ“ს ვიწერთ 4-ცალს, „მუშას“ 7-ცალს „ახალ სოფელს“ 2-ცალს, ჟურნალს „ახალ-გზას“ 2-ცალს და „რემედასს“ 2-ცალს. აქედან სჩანს რომ არც ისთე დგას საკითხი როგორც წერილში ნახსენებია.

პოლიტსაათისა და ხმამაღალი კითხვის შესახებ საკითხი, დიდი ხანია მოგვარებულია, და შეძლებისდაგვარათ მიდის მეცადინეობა (მხედველობიდან არ უნდა იქნეს გაშვებული რომ აქ საავათმყოფოა) რაც შეეხება რედაქციის შენიშვნას, მას რედაქციას დივ ლაზარეთიდან მადლობის მეტი არაფერი ეთქმის, რომ უსასყიდლოთ გვაწვდის 30-ცალ გაზეთს, რომლის განაწილება წესიერად ხდება პალატებზე. წერილის ავტორს ალბად ის ჰქონია მხედველობაში, რომ მხოლოთ დღეს არ მიგვიღია გაზეთები რაღაც მიზეზების გამო.

ს.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ საარტილერიო ლეგიონის 1-ლ და 2-რე ბატარეის შეერთებულ კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ უპარტიო ამხანაგებს: 1) ნიჟარაძე კალისტრატე ნესტორის—ძეს, მასწავლებელი, საშვალო ცოდნით (ქუთაისის მაზ. სოფ. მაღლაკი.) 2) დარჩია ხარიტონ პეტრეს—ძეს ოზურგეთის მაზ. სოფ. ბახვი და 3) მაღლაკელიძე სიმონ გიორგის—ძეს (შორაპნის გაზ. სოფ. ძირული). თუ ვინმეს რაიმე გაქვთ საწინააღმდეგო მათ მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ 10-დღეში, შემდეგი მისამართით.

1-ლ საარტილერიო ლეგიონის 1-და 2-რე ბატარეის შეერთებული კომუჯრედი.

---

მე-3-მე ქართულ მსრ. ლეგიონის ბიურო-კოლექტივში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1. პატარაია სერგო ალექსის ძეს (ოზურგეთის მაზრისა სოფ. ჩიბათი), 2. ბურჯანაძე შალვა ტარასის-ძეს (ქუთაისის მაზრის სოფ. გორა). 3. სულაძე არჩილი ნიკოლოზის-ძე (რაჭის მაზრის სოფ. ზხივანა). 4. შენგელია სილოვან კონსტანტინეს-ძეს (სენაკის მაზრის სოფ. ქოლობანი). 5. ბიკაშვილი ფიფო გეგენის-ძე (სიღნაღის მაზრა სოფ. მირზაანი). 6. კისიევი ვასილი გაბოს-ძეს (სოფ. ხელჩოშიდან ცხინვალის მაზრა). 7. ირემაშვილი ალექსი სტეფანეს-ძეს (გორის მაზრიდან სოფ. კავთისხევი).

ლეგ. ბიურო-კოლექტივი სთხოვს ყველას გვაცნობოთ მათ შესახებ თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ერთი კვირის განმავლობაში მე-3 ქართ. მსრ. ლეგიონის ბიურო კოლექტივში.

ბ. კ. მდივანი ი. ბალათურია.

## ტფილისის გარნიზონის ყველა ქართულ ნაწილების კლუბის უფროსების საყურადღებოთ.

ა. წ. 18 ნოემბერს დილის 10 საათისთვის წითელი არმიის და ფლოტის ბაღში (პლეხანოვის პროსპექტი № 73) დანიშნულია ტფილისის გარნიზონის ყველა ქართულ ნაწილების კლუბის უფროსების თათბირი.

დღის წესრიგშია შემდეგი კითხვებია: 1. წ. ა. ფ. ს. ქართული სექციის საქმიანობა საზაფხულო პერიოდში, 2. სამუშაო პერსპექტივები და 3. მიმდინარე კითხვები.

დასწრება სავალდებულოა.

2 დივპოლიტგანის აგიტპროპის უფროსი ადამაძე.

წ. ა. ფ. ს. ქართულ სექციის გამგე დ. ჭანტურიშვილი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.